მალხაზ მაცაბერიძე

რუსული ევრაზიელობის გეოპოლიტიკური კონცეფცია

თბილისი
2015

შინაარსი


1.პეტრე სავიცკი - რუსული ევრაზიელობის გეოპოლიტიკური საფუძვლები....3
შესავალი....3
პეტრე სავიცკის ცხოვრების გზა....3
რუსეთი - ევრაზია....5
ევრაზიის „ერთიანობა"....6
თურანი....8
ევროპისაგან გამიჯვნა....10
ადგილგანვითარება....11
იდეოკრატია....12
საბჭოთა კავშირი და ევრაზიელობა....13

2.ნიკოლაი ტრუბეცკოის ევრაზიული კონცეფცია....15
ბიოგრაფიული ცნობები....15
რუსეთის მიერ კავკასიის კონტროლის შესახებ....16
საერთოევრაზიული ნაციონალიზმის შესახებ....20

3.კონსტანტინე ჩხეიძე- ცივილიზაციური პრობლემების ევრაზიული ხედვა....21
ერთა ლიგის როგორც „დასავლეთის გავლენის იარაღის“ კრიტიკა....22
სახელმწიფო-მატერიკების ფორმირების ტენდენცია....23
რუსეთ-ევრაზიის „მსოფლიოს“ ტერიტორიული მოწყობა....24

1.პეტრე სავიცკი - რუსული ევრაზიელობის გეოპოლიტიკური საფუძვლები

შესავალი



XX ს. პირველი ნახევრის რუსულ გეოპოლიტიკურ სკოლად „ევრაზიელობა" მიიჩნევენ, რომლის წარმომადგენლებიც, ძირითადად, 1917 წ. ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ემიგრაციაში წასული რუსი მეცნიერები იყვნენ: **ნ.ს.ტრუბეცკოი** (1890-1938), **ი.ა.ილინი (1882-1954), პ.ნ.სავიცკი** (1859-1968), **გ.ვ.ვერნადსკი** (1887-1973), **გ.ფ.ფლოროვსკი** (1893-1979), ლ.პ.კარსავინი (1882-1952) და სხვ. მათ აერთიანებდათ რუსეთის „ევრაზიელობის" იდეა.

ევრაზიელობა იდეურ-ფილოსოფიური მიმდინარეობაა, რომლის ძირითადი თეზისი რუსეთის განსაკუთრებულობის მტკიცებაა. რუსეთს ევროპისა და აზიის შუალედური სივრცე უკავია, მდებარეობს ორი სამყაროს – აღმოსავლეთის და დასავლეთის გადაკვეთაზე და განსაკუთრებულ სოციოკულტურულ სამყაროს წარმოადგენს, რომელიც ორივე საწყისს აერთიანებს. ამასთან დომინირებს აზიური კომპონენტი.

პეტრე სავიცკის ცხოვრების გზა

როგორც თანამედროვე რუსი გეოპოლიტიკოსები აღნიშნავენ, პეტრე ნიკოლოზის ძე **სავიცკი** (1895-1968) არა მხოლოდ ევრაზიელთა შორის, არამედ საერთოდ პირველი რუსი ავტორია, რომელსაც ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით შეიძლება გეოპოლიტიკოსი ეწოდოს.

განათლებით იგი ეკონომისტი იყო, ნ. ვერნადსკის და პ. სტრუვეს მოწაფე, პირველ მსოფლიო ომამდე ახლოს იდგა კადეტებთან. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა ბულგარეთში, იქიდან კი ჩეხოსლოვაკიაში გადავიდა.

1921 წელს პ. სავიცკი, ნ. ტრუბეცკოისთან ერთად, სათავეში ჩაუდგა ევრაზიულ მოძრაობას, რომელშიც გეოპოლიტიკურ ფაქტორებს ცენტრალური როლი განეკუთვნებოდათ. სხვა ევრაზიელებთან შედარებით სწორედ სავიცკი იყო ყველაზე მეტად დაინტერესებული გეოპოლიტიკით.

სავიცკის მსოფლმხედველობა, ისევე როგორც ევრაზიელთა უმრავლესობისა, სლავიანოფილების, დანილევსკის და, განსაკუთრებით, ლეონტიევის ნაშრომების ზეგავლენით ჩამოყალიბდა. მათი ცენტრალური თეზისი იყო „ველიკოროსების" ისტორიული იდენტობის იდეა, რომელიც არც რელიგიურად და არც ეთნიკურად სლავურ არსზე არ დაიყვანებოდა. ამ აზრით, ისინი ყველაზე ახლოს იდგნენ **კონსტანტინე ლეონტიევთან,** რომელმაც ჩამოაყალიბა მნიშვნელოვანი თეზისი - „სლავები არიან, სლავიზმი არაა" ე.ი. "სლავი ხალხების ეთნიკური და ლინგვისტური სიახლოვე საკმარისი საფუძველი არაა, რომ მათ კულტურულ და ხასიათის ერთიანობაზე ვილაპარაკოთ".

აღსანიშნავია, რომ რუსი ევრაზიელები, რომლებიც ემიგრაციაში იმყოფებოდნენ პრაღაში, იქ ხშირად ხვდებოდნენ კარლ ჰაუსჰოფერს და, როგორც ჩანს, გარკვეულ იდეურ სიახლოვესაც გრძნობდნენ მასთან. ამ პერიოდში რუსი ევრაზიელებიც და ჰაუსჰოფერის გეოპოლიტიკური სკოლაც ერთმანეთის პარალელურად მსგავს იდეებს ანვითარებდა რუსეთ-გერმანიის კონტინენტური ბლოკის შექმნის თაობაზე.

ევრაზიელები პოზიტიურად უყურებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს. ევრაზიელების აშკარად პროსაბჭოური ფრთაც არსებობდა (პარიზის წრე, რომელიც გაზეთ "ევრაზიას" გამოსცემდა), რომელთანაც სავიცკიმ ოფიციალურად გაწყვიტა ურთიერთობა. მიუხედავად საბჭოეთისადმი ზომიერი სიმპათიებისა, 1945 წელს საბჭოთა არმიის მიერ პრაღის აღების შემდეგ სავიცკი დააპატიმრეს და 10 წელი მიუსაჯეს.

ბანაკებში იგი გაეცნო პოეტ ნიკოლოზ გუმილიოვის ვაჟს - ლევს, რომელიც მისი მოწაფე გახდა, შემდგომში ცნობილი რუსი ეთნოგრაფი და ისტორიკოსი.

1956 წელს სავიცკი რეაბილიტირებული იქნა და პრაღაში დაბრუნდა, სადაც 12 წლის შემდეგ გარდაიცვალა.

რუსეთი - ევრაზია

ევრაზიელები ევროპასა და აზიასთან ერთად, გამოყოფდნენ მესამე კონტინენტს, რომელსაც „ევრაზია“ უწოდეს. ამასთან ამტკიცებდნენ, რომ ამ კონტინენტის საზღვრები ფაქტობრივად ემთხვეოდა რუსეთის იმპერიის საზღვრებს.

სავიცკის ძირითადი იდეის თანახმად რუსეთი განსაკუთრებული ცივილიზაციური წარმონაქმნია, თავისი „შუალედურობის" („Срединность") თვისების მეშვეობით. ერთ-ერთი მისი სტატია „ევრაზიელობის გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური საფუძვლები" - 1933) შემდეგი სიტყვებით იწყება: „რუსეთს ჩინეთზე მეტი საფუძველი აქვს „შუა სახელმწიფოდ" იწოდებოდეს".

თუ გერმანიის „შუაობა" (Mittellage) შემოიფარგლება ევროპის კონტინენტით, ხოლო თვით ევროპა არის ევრაზიის „დასავლეთი ნახევარკუნძული", მათგან განსხვავებით რუსეთს მთელი კონტინენტის მასშტაბით უკავია ცენტრალური პოზიცია.

სავიცკი ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ რუსეთი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ერთმანეთთან აკავშირებს ევროპისა და აზიის სხვადასხვა ნაწილებს („უკვე მე-19 ს. ბოლოდან პირდაპირი გზა ევროპიდან ჩინეთისა და იაპონიისაკენ რუსეთზე გადის") და ვარაუდს გამოთქვამდა, რომ მომავალში ამიერკავკასიის გავლით ირანისაკენ, ცენტრალური აზიის გავლით ინდოეთისკენ, ხოლო არქტიკის გავლით ჩრდილოეთ ამერიკისკენ გაივლის ძველი სამყაროს უმოკლესი დამაკავშირებელი გზები.

რუსეთის „შუალობა" სავიცკისათვის მისი ისტორიული იდენტობის საფუძველს წარმოადგენდა. რუსეთი არც აზიაა და არც ევროპა - ასეთია ევრაზიელთა ძირითადი გეოპოლიტიკური თეზისი.

რუსეთი დამოუკიდებელი და განსაკუთრებული სულიერ-ისტორიული გეოპოლიტიკური რეალობაა, რომელსაც სავიცკი "ევრაზიას" უწოდებს.

გეოგრაფიულად ევრაზიის დასავლეთი საზღვარი გადის ევროპის იმ ადგილას, სადაც კონტინენტი ვიწროვდება ბალტიისა და შავ ზღვებს შორის, აღმოსავლეთით კი გადაჭიმულია წყნარ ოკეანემდე და ხინგანებამდე. ანუ გეოგრაფიულად ევრაზია სავიცკისათვის არსებითად მოიცავდა რუსეთის იმპერიისა და შემდგომი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას. ამდენად, სავიცკის ევრაზია უნდა განვასხვავოთ ჰუმბოლტის ევრაზიისგან, რომელიც მთელ ძველ მატერიკს აღნიშნავდა.

სავიცკი მიუთითებდა, რომ მის მიერ გამოყოფილი „ევრაზია" ლანდშაფტის თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავდება ძველი მატერიკის დანარჩენი ნაწილებისაგან. აქ სხვადასხვა ბუნებრივი ზონები თანმიმდევრულად გადადის ერთმანეთში და, გარდა ამისა, დომინირებს სტეპისა და უდაბნოს ვრცელი ზოლი, რომელიც უწყვეტადაა გადაჭიმული კარპატებიდან ხინგანებამდე.

ევრაზიის „ერთიანობა"

სავიცკი ცდილობდა მის მიერ გამოყოფილი ევრაზიის გეოგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე, დაესაბუთებინა ამ არეალის პოლიტიკური ერთიანობის აუცილებლობა. მისი თქმით, „რუსეთ-ევრაზიის თავისებურ, უკიდურესად მკაფიო და იმავდროულად უბრალო გეოგრაფიულ სტრუქტურას" უკავშირდებოდა რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური გარემოება.

სავიცკის მტკიცებით, ევრაზიული სამყაროს ბუნება მინიმალურად უწყობს ხელს სხვადასხვაგვარი სეპარატიზმის განვითარებას - ეს იქნება პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური. მისგან განსხვავებით, ევროპისა და აზიის „მოზაიკურ-წყვეტილი" აგებულება ხელს უწყობს პატარა, ჩაკეტილი, განკერძოებული მინი-მსოფლიოების ჩამოყალიბებას. აქ არის „მატერიალური წანამძღვრები პატარა სახელმწიფოების არსებობისათვის".

ევრაზიის პირობები, სავიცკის აზრით, რადიკალურად განსხვავებულია. უსასრულო დაბლობები ადამიანს აჩვევს ფართო ჰორიზონტს, „გეოპოლიტიკური კომბინაციების ფართო მასშტაბებს". ევრაზიის ბუნება ადამიანებს პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური გაერთიანების აუცილებლობას კარნახობს. სავიცკი მიუთითებდა, რომ სწორედ ამიტომ ევრაზიის სივრცეში ადგილი ქონდა დიდ გამაერთიანებელ მცდელობებს - სკვითების, ჰუნების, მონღოლების და სხვათა.

სავიცკისათვის ევრაზია არა მხოლოდ გეოგრაფიული არეალია, არამედ გარკვეული იდეაცაა, ეს ცნება აღნიშნავს არა მატერიკს და არა კონტინენტს, არამედ იდეას, რომელიც ასახულია რუსულ სივრცესა და რუსულ კულტურაში, ისტორიულ პარადიგმას, განსაკუთრებულ ცივილიზაციას.

„რუსული სამყარო" მოწოდებულია გამაერთიანებელი როლი შეასრულოს „ძველი სამყაროს ფარგლებში". რუსეთი ანხორციელებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურულ სინთეზს. ევრაზიისათვის დამახასიათებელია თავისებური „ხალხთა ძმობა", რომელსაც ფესვები აქვს გადგმული სხვადასხვა რასის ხალხების საუკუნოვან კონტაქტებსა და კულტურულ შერწყმაში.

სავიცკი გადაჭრით უარყოფდა „მედასავლეთეობას", რომელიც რუსების „ევროპელობას" ამტკიცებდა და ამით აზიელებს უპირისპირებდა. ასეთ მიდგომას, სავიცკის აზრით, რუსეთისათვის კატასტროფული შედეგები მოჰყვებოდა. იგი მიუთითებდა, რომ მხოლოდ "მედასავლეთეობის" საბოლოო დაძლევის შემთხვევაში იხსნება გზა ევრაზიელი ხალხების - სლავური, ფინური, თურქული, მონღოლური და სხვა მოდგმის ხალხების ჭეშმარიტი ძმობისაკენ.

სავიცკის განცხადებით, რუსეთმა თავისი გამაერთიანებელი როლის შესრულების დროს გადაჭრით უნდა უარყოს ძველი გამაერთიანებელი მეთოდები - ძალადობისა და ომის მეთოდები.

სავიცკის აზრით, ერთიანი ევრაზიული ბირთვი მომავალში მიიზიდავდა და გააერთიანებდა ევროპისა და აზიის სხვა ხალხებსაც. აქ მნიშვნელოვანი იქნება ევრაზიის ხალხების ნათესაური კავშირები:

რუსებისა - ინდოევროპელებთან, ევრაზიელი თურქების წინააზიური და ირანული ურთიერთობანი, ევრაზიელი მონღოლებისა - აღმოსავლეთ აზიის ხალხებთან.

სავიცკი რუსეთის პოზიციიდან აყალიბებდა გეოპოლიტიკურ კონცეფციას, რომელიც მაკინდერის მიერ წარმოდგენილი სურათის იგივეობრივია. მხოლოდ აბსტრაქტული „ხმელეთის ყაჩაღებისა" და „ისტორიის გეოგრაფიული ღერძიდან მომდინარე ცენტრისკენული იმპულსების" ნაცვლად ფიგურირებდა რუსული კულტურა, ისტორია, რუსული სახელმწიფო, რუსეთის ტერიტორია.

თუ მაკინდერის აზრით, „ჰართლენდის" უდაბნოებიდან მომდინარეობდა მექანიკური ბიძგი, რომელიც სანაპირო ზონებს („შიდა ნახევარმთვარე") აიძულებდა კულტურისა და ისტორიის შექმნას, მისგან განსხვავებით სავიცკი ამტკიცებდა, რომ რუსეთი-ევრაზია (მაკინდერის „ჰართლენდი") მსოფლიო კულტურისა და მსოფლიო ისტორიის სინთეზია, დროსა და სივრცეში გაშლილი. ამასთან, რუსეთის ბუნება მის კულტურაში თანამონაწილეობდა.

რუსეთს სავიცკი გეოპოლიტიკური თვალსაზრისით განიხილავდა, მაგრამ არა როგორც ეროვნულ სახელმწიფოს, არამედ ცივილიზაციის განსაკუთრებული ტიპის სახით, რომელიც რამდენიმე შემადგენელი ნაწილის საფუძველზე ჩამოყალიბდა - არიულ-სლავური კულტურის, თურქული მომთაბარეობის, მართლმადიდებლური ტრადიციის საფუძველზე. ყოველივე ეს ერთად ქმნიდა რაღაც უნიკალურ „შუალედურ" (срединное) წარმონაქმნს, რაც მსოფლიო ისტორიის სინთეზს წარმოადგენს.

ველიკოროსებს სავიცკი აღმოსავლეთ სლავების განშტოებად კი არ მიიჩნევდა, არამედ განსაკუთრებულ იმპერიულ ეთნიკურ წარმონაქმნად, რომელშიც სლავური და თურქული სუბსტრატებია შეხამებული. ამ საკითხმა იგი თურანის თემაზე გაიყვანა.

თურანი

ევრაზიელთა საკვანძო თეზისი ამტკიცებდა, რომ რუსეთის სახელმწიფოს, რუსული კულტურის ფორმირებაში აზიური ფაქტორი

უფრო არსებით როლს ასრულებდა, ვიდრე სლავური ფაქტორი. ევრაზიელთა აზიაცენტრიზმი ყველაზე მკაფიოდ რუსეთის სახელმწიფოს ფესვების და რუსული ეთნოსის ფორმირების ახსნის დროს ვლინდება.

რუსი ევრაზიელები პოზიტიურად უყურებდნენ მონღოლ-თათართა იმპერიულ-კონტინენტურ მისიას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თურქული მოდგმის ხალხებთან კავშირს. ასე მაგალითად, სავიცკი არსებითად მონღოლ-თათართა ბატონობასაც ამართლებდა, რომლის წყალობითაც „რუსეთმა შეიძინა თავისი გეოპოლიტიკური დამოუკიდებლობა და შეინარჩუნა თავისი სულიერი დამოუკიდებლობა აგრესიული რომანულ-გერმანული მსოფლიოსაგან". თურანისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება ევრაზიელთა მიერ მრავალი რუსი ნაციონალისტის აღშფოთებას იწვევდა.

თურქული სამყაროსადმი ევრაზიელთა ასეთი დამოკიდებულება მოწოდებული იყო მკვეთრად გამოეცალკევებინა რუსეთი-ევრაზია ევროპისა და მისი ბედისაგან, დაესაბუთებინა რუსების ეთნიკური უნიკალურობა.

„თათრობის გარეშე არ იქნებოდა რუსეთიც" - ეს თეზისი სავიცკის სტატიიდან „სტეპი და ბინადარი ცხოვრება" ევრაზიელების საკვანძო ფორმულას წარმოადგენდა. აქედან ხდებოდა პირდაპირი გადასვლა წმინდა გეოპოლიტიკურ მტკიცებაზე: „ვთქვათ პირდაპირ - მსოფლიო ისტორიის სივრცეზე დასავლეთევროპულ ზღვის შეგრძნებას, უპირისპირდება როგორც თანაბარუფლებიანი, თუმცა კი პოლარული, ერთადერთი მონღოლური შეგრძნება კონტინენტისა. რუს „ზემლეპროხოდცებში", რუსულ დაპყრობებსა და ათვისების მასშტაბებში - იგივე სული, კონტინენტის იგივე შეგრძნებაა".

ევრაზიელების აზრით, ჩინგიზ-ხანი იდგა ევრაზიის ერთიანობისა და სუვერენიტეტის იდეის სათავესთან. მათთვის კიევის რუსეთის იდეა „პროვინციული“ იყო. რუსეთის იმპერიის ზრდა და განმტკიცებამ დაამთავრა ევრაზიის ტერიტორიული გაერთიანება. თურქესტანის შესვლამ რუსეთის შემადგენლობაში და ტრანსციმბირული რკინიგზის მშენებლობამ გააერთიანა „კიონტინენტი-ოკეანის“ მთელი ტერიტორია.

რუსეთი სავიცკისათვის ჩინგიზ-ხანის და თემურ-ლენგის საქმის გამგრძელებელი, აზიის გამაერთიანებელია. მასში ერთდროულად შეხამებულია ისტორიული „ბინადარი" და „სტეპის" სტიქია.

რუსული ლანდშაფტის ფუნდამენტური ორბუნებიანობა - მისი დაყოფა ტყედ და სტეპად - ჯერ კიდევ სლავიანოფილებმა შენიშნეს. სავიცკისათვის რუსეთ-ევრაზიის გეოპოლიტიკური აზრი სწორედ ამ ორი რეალობის - ევროპული ტყისა და აზიური სტეპის შერწყმაში მდგომარეობდა. ამასთან ასეთი სინთეზი არაა უბრალოდ ორი გეოპოლიტიკური სისტემის ერთმანეთზე დადება, ესაა რაღაც მთლიანი, ორიგინალური რეალობა.

რუსეთ-ევრაზია მთლიანად თურანზე არ დაიყვანება. ის გაცილებით მეტია. ევროპის მიმართ, რომელიც ბარბაროსობად მიიჩნევს ყოველივეს რაც გამოდის მისი „სანაპირო" ცნობიერების ფარგლებიდან, რუსეთის თვითკვალიფიკაცია „მონღოლური სკოლის მატარებელთა" სახით პროვოკაციაა, რომელიც ევრაზიელთა ისტორიული და სულიერი უპირატესობის საფუძველს ქმნის.

ევროპისაგან გამიჯვნა

ევრაზიელები თვლიდნენ, რომ ევროპა არ უნდა განხილულიყო რუსეთისთვის სამაგალითოდ, მათთვის რუსეთის ადგილი აღმოსავლეთში იყო და არა დასავლეთში.

ევრაზიელები ნეგატიურად აფასებდნენ ევროპოცენტრიზმის იდეას, ევროპის უპირატესობის მტკიცებას. ამ იდეის გავლენით არაევროპელმა ხალხებმა დაიწყეს ევროპული კულტურის განხილვა ეტალონის სახით და საკუთარი ეროვნული არასრულფასოვნების დასკვნამდე მიდიოდნენ. ისინი უარს ამბობდნენ თავიანთ ეროვნულ კულტურასა და ეროვნულ ფესვებზე.

ევროპის „დაწევის“ სურვილი წარმოშობდა მისწრაფებას გადახტომოდნენ საკუთარი ისტორიული განვითარების აუცილებელ საფეხურებს. ასეთ მცდელობებს დიდი ძალა და ენერგია სჭირდებოდა და ამ ხალხების გამოფიტვას იწვევდა.

ამიტომ ევრაზიელები ნეგატიურად უყურებდნენ რუსეთის „ვესტერნიზაციის“ მცდელობებს. განსაკუთრებით უარყოფითად აფასებდნენ პეტრე I-ის მიერ გატარებულ რეფორმებს. ევრაზიელების აზრით, რუსეთის ევროპულ ქვეყნად გადაქცევის მცდელობა გაუგებრობა იყო. 1917 წლის ბოლშევიკურ რევოლუციას და სამოქალაქო ომს ევრაზიელები მიიჩნევდნენ რუსეთის დაბრუნებად საკუთარ თავთან.

ევრაზიელთა აზრით, ევროპაში მრავალრიცხოვანი კრიზისების მიზეზები განპირობებული იყო იმით, რომ ევროპის საზოგადოებრივი მოწყობა ემყარებოდა ეგოიზმსა და პირადი უფლებების პრიორიტეტს „სობორულობასა“ და ძმურ სიყვარულზე. ევრაზიელებისთვის მიუღებელი იყო ევროპაში არსებული საკუთრების ფორმაც - კერძო საკუთრება.

ადგილგანვითარება

ევრაზიელთა გეოპოლიტიკური დოქტრინისთვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს „ადგილგანვითარების” კატეგორიას. ევრაზიელთა კონცეფცია ემყარება დებულებას, რომ რუსეთი არც ევროპაა და არც აზია, ისაა განსაკუთრებული ქვეყანა, რომელიც არ გავს ევროპას და მნიშვნელოვნად ენათესავება აზიას. რუსეთი თვითკმარი სამყაროა და მისი პოლიტიკური საზღვრები ემთხვევა რუსეთის იმპერიის საზღვრებს. რუსეთ-ევრაზიის თვითკმარობის მიზეზი მდგომარეობს “ადგილგანვითარების” სპეციფიკასა და მის გეოგრაფიულ მდებარეობაში.

„ადგილგანვითარების" (Месторазвитие) კონცეფციამ დასრულებული სახე მიიღო სავიცკის თეორიაში. იგი Raum-ის ცნების ზუსტ ანალოგს წარმოადგენს, როგორც იგი განმარტებულია რატცელის, კელენის და, საერთოდ, გერმანული გეოპოლიტიკის მიერ. რატცელი ხაზს უსვავდა, რომ ხალხები ისტორიის მსვლელობისას ეგუებიან გეოგრაფიულ გარემოს, რაც აისახება ცხოვრების წესში, ზნეობაზე, ტრადიციებზე.

სავიცკი ნაშრომში „რუსეთ-ევრაზიის გეოგრაფიული მიმოხილვა" წერდა: „სოციალურ-პოლიტიკური გარემო და მისი ტერიტორია ჩვენთვის ერთ მთლიანობად, გეოგრაფიულ ინდივიდუუმად ანუ

ლანდშაფტად უნდა შეირწყას". სწორედ ესაა „ადგილგანვითარების" არსი, რომელშიც ობიექტური და სუბიექტური განუყოფელ ერთიანობადაა შერწყმული. ესაა კონცეპტუალური სინთეზი. სავიცკი მოითხოვდა, რომ სოციალურ-ისტორიული გარემო და მის მიერ დაკავებული ტერიტორია ერთდროულად ყოფილიყო განხილული. ამით სავიცკი ახლოს დგას ვიდალ დელა ბლაშთან.

ევრაზიელებს „ადგილგანვითარებაში" ესმოდათ განუმეორებელი გეოგრაფიული გარემო, რომელშიც ხდება როგორც ცალკე ადამიანის, ისე ადამიანთა დიდი გაერთიანებების ჩამოყალიბება.

სავიცკი თვლიდა, რომ რუსეთი-ევრაზია არის „ადგილგანვითარება", „ერთიანი მთლიანობა", „გეოგრაფიული ინდივიდუუმი - ერთდროულად გეოგრაფიული, ეთნიკური, სამეურნეო, ისტორიული და ა.შ. „ლანდშაფტი".

რუსეთი-ევრაზია არის ისეთი „ადგილგანვითარება", რომელიც უფრო მცირე „ადგილგანვითარებათა" არსებობის ინტეგრალურ ფორმას წარმოადგენს. ის მრავალ ეთნოსს აერთიანებს.

"ადგილგანვითარების", "გეოგრაფიული ინდივიდუუმის" ცნებების მეშვეობით ევრაზიელები თავიდან იცილებდნენ უფრო კონკრეტული რეცეპტების გაკეთებას ეროვნულ, რასობრივ, რელიგიურ, კულტურულ, ენობრივ, იდეოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით. ამით იგი უპირისპირდებოდა დასავლური რაციონალიზმის ანალიტიკურ კონცეფციებს.

იდეოკრატია

ევრაზიელები უარყოფდნენ ლიბერალურ სახელმწიფოს როგორც სუსტს, ხოლო საპარლამენტო დემოკრატია მიაჩნდათ მმართველობის დამახინჯებულ ფორმად, რომელიც რეალურად ოლიგარქიას წარმოადგენს.

სავიცკის აზრით, ევრაზიულ სახელმწიფოს იდეოკრატიის ფორმა უნდა ჰქონოდა (ბერძნ. idea - იდეა და kratos - ხელისუფლება). ეს ისეთი პოლიტიკური წყობილებაა, როდესაც მმართველი კლასი ან ჯგუფი სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირებისას და საზოგადოების მართვის

დროს ხელმძღვანელობს არა ქონებრივი და სხვა მატერიალური მოტივებით, არამედ იდეალებით, იდეოლოგიური დოქტრინით.

სავიცკი თვლიდა, რომ ევრაზიული სახელმწიფო უნდა აგებულიყო თავდაპირველი სულიერი იმპულსის საფუძველზე, ზემოდან ქვევით. მაშასადამე, მთელი მისი სტრუქტურა უნდა შექმნილიყო აპრიორული იდეის თანახმად და ამ სტრუქტურის სათავეში უნდა იდგეს „სულიერი ბელადების" განსაკუთრებული კლასი. ასეთი ბელადების გამოსაცნობად სავიცკიმ შემოიტანა ცნება „გეოგრაფიული პიროვნება". ასეთ პიროვნებას შეუძლია ამაღლდეს მატერიალურ აუცილებლობაზე, ორგანულად ჩართოს ფიზიკური სამყარო ისტორიული შემოქმედების ერთიან სულიერ-აღმშენებლობით იმპულსად

იდეოკრატია - ტერმინია, რომელიც აერთიანებს არადემოკრატიული, არალიბერალური მმართველობის ყველა ფორმას, რომლებიც არამატერიალურ და არაუტილიტარულ მოტივაციას ეფუძნებიან. ამასთან სავიცკი შეგნებულად გაურბის ამ ცნების დაზუსტებას. იგი შეიძლება განსახიერდეს თეოკრატიულ „სობორულობაში", სახალხო მონარქიაში, ეროვნულ დიქტატურასა და საბჭოური ტიპის პარტიულ სახელმწიფოში. ტერმინის ასეთი სიფართოვე შეესაბამება ევრაზიელობის გეოპოლიტიკურ ჰორიზონტებს, რომელიც უდიდეს ისტორიულ და გეოგრაფიულ სივრცეებს მოიცავს.

იდეოკრატია პირდაპირ საპირისპიროა პრაგმატულ-კომერციული მიდგომისა, რაც დომინირებს მაკინდერის, მეჰენის, სფიქმენის დოქტრინებში. რუსმა ევრაზიელებმა მკაფიოდ ჩამოაყალიბეს იდეოლოგიური ტერმინები, რომლებშიც ზღვისა და ხმელეთის ისტორიული დაპირისპირება ვლინდებოდა. ზღვა - ლიბერალური დემოკრატია, „სავაჭრო წყობა", პრაგმატიზმია; ხმელეთი - იდეოკრატიაა (ყველა სახის), „იერარქიული მმართველობა", რელიგიური იდეალის დომინაცია.

საბჭოთა კავშირი და ევრაზიელობა

საბჭოური რეალობა გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ბევრ რამეში ემთხვეოდა სავიცკისა და სხვა ევრაზიელთა კონცეფციებს,

თუმცა საბჭოთა ხელმძღვანელობაზე ამ კონცეფციების პირდაპირ ზეგავლენაზე არ შეიძლება ლაპარაკი.

ევრაზიელებთან ახლოს მდგომი „სმენავეხელები" და ნაციონალბოლშევიკები - განსაკუთრებით ნიკოლაი უსტრიალოვი გარკვეულ გავლენას ახდენდნენ ბოლშევიკებზე და განსაკუთრებით, სტალინზე, თუმცა მათმა ნაწილმა ბანაკებში დაასრულა სიცოცხლე. ევრაზიელთა ნაწილი - ეფრონი, კარსავინი და ა.შ. - ღიად თანამშრომლობდნენ საბჭოთა კავშირთან, თუმცა მადლობა არ დაუმსახურებიათ. თანამედროვე რუსი გეოპოლიტიკოსის ა.დუგინის სიტყვით, საბჭოთა საგარეო პოლიტიკა „პერესტროიკის" დაწყებამდე მიჰყვებოდა ევრაზიულ კურსს, მაგრამ ამის შესახებ აშკარად არასოდეს განუცხადებია.

2.ნიკოლაი ტრუბეცკოის ევრაზიული კონცეფცია

ბიოგრაფიული ცნობები



ნიკოლაი ტრუბეცკოი (1890-1938) ევრაზიული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. უფრო მეტიც - 1920 წელს გამოსული მისი წიგნი“ევროპა და კაცობრიობა“ ევრაზიული იდეოლოგიის დასაწყისად მიიჩნევა.

ნ.ტრუბეცკოის აკადემიური საქმიანობა რუსეთში 1917 წლის რევოლუციამ შეწყვიტა. 1920 წელს ის ბულგარეთში გადავიდა და სოფიის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა. ამიერიდან მისი საქმიანობა ორი მიმართულებით იშლება: ერთი იყო წმინდა სამეცნიერო, - ფილოლოგიური და ლინგვისტიკური, მეორე პოლიტიკურ-იდეოლოგიური, რაც ევრაზიულ მოძრაობაში მონაწილეობას უკავშირდებოდა. თუმცა, ნ. ტრუბეცკოი მაინც წყნარ, აკადემიურ საქმიანობას ანიჭებდა უპირატესობას.

ცხოვრების უკანასკნელი წლები ტრუბეცკოიმ ვენაში გაატარა, სადაც უნივერსიტეტში სლავისტიკის პროფესორად მუშაობდა. ავსტრიის ანშლუსის შემდეგ ტრუბეცკოის გესტაპომ დაუწყო დევნა. ამის მიზეზი გახდა ტრუბეცკოის მიერ წინა წლებში გამოქვეყნებული დამცინავი სტატიები გერმანული რასიზმის შესახებ. ტრუბეცკოი არ დაუპატიმრებიათ მისი თავადური წარმოშობის გამო, მაგრამ სახლში არაერთხელ ჩაუტარეს ჩხრეკა. ამან დააჩქარა ტრუბეცკოის სიკვდილი, რომელიც ინფარქტით 1938 წლის 25 ივლისს 48 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი ხელნაწერების დიდი ნაწილი გესტაპომ ამოიღო და შემდეგ გაანადგურა.

რუსეთის მიერ კავკასიის კონტროლის შესახებ

1925 წელს ნ.ტრუბეცკოიმ დაწერა სტატია „კავკასიის ხალხებისათვის“. ტრუბეცკოი მოკლედ მიმოიხილავს კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს, მათ დამოკიდებულებას ერთმანეთთან და რუსეთთან და აყალიბებს რეცეპტებს რუსეთის პოლიტიკისათვის, თუ როგორ უნდა ემოქმედათ კავკასიაში რუსული მმართველობის შესანარჩუნებლად. ტრუბეცკოის რეცეპტები ველიკოდერჟავული შოვინიზმით არის გამსჭვალული და შეურაცხმყოფელია კავკასიის ხალხებისთვის. ქვემოთ გადმოვცემთ მის მოსაზრებებს კომენტარების გარეშე.

ტრუბეცკოი აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიაში სომხები „მუდამ რუსული ორიენტაციისა იყვნენ და იქნებიან, იმისდა მიუხედავად, თუ რა მთავრობა ეყოლება რუსეთს. სერიოზული სომხური სეპარატიზმი გამორიცხულია“. ტრუბეცკოის თქმით, „სომხებთან შეთანხმება იოლია, მაგრამ მათზე იმედის დამყარება შეცდომა იქნებოდა“. მიუხედავად ძლიერი ეკონომიკური პოზიციებისა „სომხები პარაზიტი და მონა ერის ყველა თვისებას ატარებენ, რის გამოც საყოველთაო ანტიპათიის საგანს წარმოადგენენ, ხოლო მეზობელ ქვეყნებში ანთიპათია სიძულვილშია გადაზრდილი. მათთან სოლიდარობა მთელი ამ ანტიპათიისა და სიძულვილის საკუთარ თავზე წვნევის ტოლფასი იქნებოდა. რევოლუციამდელი პოლიტიკის მაგალითი, როდესაც რუსებს სომხებიღა დარჩათ მოძმეებად და ამიერკავკასიის ყველა სხვა ერი კი აუმხედრდათ, გაკვეთილად უნდა მივიჩნიოთ“. ამავე დროს, ტრუბეცკოის განცხადებით, რუსეთის მთავრობის დამოკიდებულება სომხებისადმი კავკასიაში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებთან უნდა იყოს შეთანხმებული.

ნ.ტრუბეცკოი აღნიშნავს, რომ ქართველებმა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მოიპოვეს ავტონომიის უფლება და „შეუძლებელია, მათ ამ უფლებებში შეეცილო“. მაგრამ „რახან ეს მდგომარეობა ქართული სეპარატიზმის გაჩენის საბაბს იძლევა, მასთან ბრძოლა რუსეთის ნებისმიერი მთავრობის ვალდებულებაა“. ტრუბეცკოი აღნიშნავს, რომ თუკი რუსეთს არ სურს ბაქოს ნავთობის დაკარგვა, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნება არა მხოლოდ

ამიერკავკასიის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის შენარჩუნებაც რუსეთის მთავრობამ „არ უნდა დაუშვას საქართველოს დამოუკიდებლობა“.

ნ.ტრუბეცკოის განცხადებით, „ქართული პრობლემის სიძნელე და სირთულე სწორედ ისაა, რომ ამჟამად უკვე პრაქტიკულად შეუძლებელია ნაწილობრივ მაინც არ აღიარო საქართველოს დამოუკიდებლობა, ხოლო მისი სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღიარება არაფრით არ შეიძლება. აქ გარკვეული შუალედური ხაზი უნდა იქნას არჩეული, თანაც ისეთი, რომ ქართველთა გარემოში რუსოფობიური განწყობილების გამომწვევი არ გახდეს“.

ნ.ტრუბეცკოი შენიშნავს, რომ „ქართული ნაციონალიზმი იმდენად იღებს მავნე ფორმებს, რამდენადაც იმსჭვალება ევროპეიზმის გარკვეული ელემენტებით“. მისი აზრით, საჭიროა ამასთან ბრძოლა და მიაჩნია, რომ „საქართველოს საკითხის სწორად გადაწყვეტა მხოლოდ ჭეშმარიტი ქართული ნაციონალიზმის ანუ ევრაზიული იდეოლოგიის ქართული ფორმის წარმოქმნის შემთხვევაში მოხდება“.

ნ. ტრუბეცკოი აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიაში ეთნიკურად ყველაზე მრავალრიცხოვანი „აზერბაიჯანელი თათრები“ არიან. ტრუბეცკოის თქმით, „ნაციონალიზმი მათში ძლიერია და რუსოფობიურ განწყობილებებს ამიერკავკასიის სხვა ხალხებზე უფრო მტკიცედ ავლენენ“. ამას ემატება თურქოფილური განწყობა, რასაც პანისლამური და პანთურანისტული იდეები ასაზრდოებს. ტრუბეცკოის თქმით, აზერბაიჯანის ეკონომიკური მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ „რუსეთისაგან მისი გამოყოფა დაუშვებელია“. ტრუბეცკოის რეცეპტი აზერბაიჯანთან მიმართებაში საქართველოს ანალოგიურია: „აზერბაიჯანელი თათრების დამოუკიდებლობის გარკვეული და თანაც მნიშვნელოვანი დოზით აღიარება“ და „ნაციონალურ-აზერბაიჯანული ფორმის ევრაზიული იდეოლოგიის შექმნა“.

ნ.ტრუბეცკოი აღნიშნავდა, რომ ამიერკავკასიის სამ მთავარ ხალხთან რუსეთის დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკასთანაცაა მჭიდროდ გადახლართული და საკმაოდ რთულ ვითარებას ქმნის: რუსეთის „თურქოფილური პოლიტიკა სომხებს ინგლისური ორიენტაციის აღებისაკენ უბიძგებდა. ამავე შედეგს გამოიღებდა აზერბაიჯანელებ-

თან სიახლოვეც. ინგლისი, ყოველ შემთხვევაში, ინტრიგებს საქართველოში მოაწყობს, რადგან მას ესმის, რომ დამოუკიდებელი საქართველო აუცილებლად გახდება ინგლისის კოლონია. და სწორედ ამ ინტრიგების გარდუვალობის გამო საქართველოში არახელსაყრელი იქნებოდა, სომხები რომ ანგლოფილები გაგვეხადა და ამით კიდევ უკეთესი პირობები შეგვექმნა ინგლისელთა ინტრიგებისათვის ამიერკავკასიაში. მეორე მხრივ, სომხებთან სიახლოვე აზერბაიჯანელებს თურქოფილურ ორიენტაციას აარჩევინებდა, საქართველოში კი რუსოფობიურ განწყობილებებს წარმოქმნიდა.“

ნ.ტრუბეცკოის აზრით ამიერკავკასიაში დიდი ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულები უნდა გაუქმებულიყო. „უნდა გაუქმდეს არა მხოლოდ ძველი დაყოფა გუბერნიებად, რომელიც შემთხვევით და ხშირად ხელოვნურ ნიშან-თვისებებს ემყარებოდა, არამედ სამ ძირითად ოლქად (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) დაყოფაც კი. ამიერკავკასიის ულუსი მცირე ოლქებად უნდა დაიყოს, რომლებიც მეტნაკლებად შეესაბამება უწინდელ მაზრებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ ოლქების საზღვრები უფრო ზუსტად უნდა ემთხვეოდეს ეთნოგრაფიულ-ისტორიულ, ყოფით და ეკონომიკურ საზღვრებს“, - აღნიშნავდა ტრუბეცკოი.

ტრუბეცკოის აზრით, რუსეთის ხელისუფლება არ უნდა ეცადოს „ცალკეულ ეროვნებათა შორის არსებული უთანხმოებებისა და წინააღმდეგობათა გაღრმავებას“. მაგალითად, მისი თქმით, „საქართველო მაინც გარკვეულ ეთნოგრაფიულ ერთიანობას წარმოადგენს, რომელიც არ შეიძლება ხელოვნურად დაანაწილო“. ეს ტრუბეცკოის შემდეგნაირად ესახებოდა: „ქართული ენის გარდა, საქართველოში მეგრული და სვანური უნდა იყოს ნებადართული და ამ ენებზე ლიტერატურის განვითარებას ხელი არ უნდა ეშლებოდეს, მაგრამ, ამავე დროს, ყველა ღონე უნდა იხმარებოდეს, რათა ხელოვნურად არ წარმოიქმნას რაიმე ახალი, ისტორიულად გაუმართლებელი, დამოუკიდებელი და საქართველოს მიმართ თვითნება ეროვნული ერთეულები“.

ტრუბეცკოის თქმით, აქედან არ გამომდინარეობდა, რომ „თითქოს ნებადართული იყოს დიდი ერების სწრაფვის წახალისება მცირე ერების

შთანთქმისაკენ“. კერძოდ, არ უნდა ყოფილიყო დაშვებული „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გაქართველება“ და აღკვეთილიყო „დაღესტნის სამხრეთ ოლქებისა და ზაქათალის ოლქის გათათრების მისწრაფებანი“. ამის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროა „შესაბამისი ხალხების ეროვნული წინააღმდეგობის მხარდაჭერის მეშვეობით“.

ნ.ტრუბეცკოის მიაჩნდა, რომ ამიერკავკასიის უბრალო ხალხში სეპარატისტული მისწრაფებები არ არსებობდა და „სეპარატისტული სწრაფვის მთავარი მატარებელი ადგილობრივი ინტელიგენციაა“. მისი თქმით, დამოუკიდებლობის შემთხვევაში ინტელიგენცია უფრო ადვილად შოულობს სამსახურს სახელმწიფო სტრუქტურებში. ეს კი „ადგილობრივ სახელმწიფო მოხელეთა ხარისხის გაუარესებას იძლევა“. ტრუბეცკოის განცხადებით, „უბრალო ხალხი ხშირად მტრულადაა განწყობილი ადგილობრივი ინტელიგენციის დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებისადმი და ცენტრალისტურადაა ორინტირებული, რითაც, მაგალითად, ბოლშევიკებმა, ეჭვს გარეშეა, ისარგებლეს ამიერკავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის განადგურებისას“.

ჩრდილოეთ კავკასიის დახასიათებისას ნ. ტრუბეცკოი აღნიშნავდა, რომ „ყაბარდოელები და ოსები რუსულ ორიენტაციას ყოველთვის საკმაოდ მტკიცედ ემხრობოდნენ. მცირერიცხოვან ხალხთა უმეტესობა ამ მხრივ განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს“. მისი თქმით, „აშკარად გამოხატულ რუსოფობიას ჩრდილოეთ კავკასიაში მხოლოდ ჩეჩნები და ინგუშები ავლენენ“. ტრუბეცკოის განცხადებით, მათი რუსოფობია იმითაა გამოწვეული, რომ რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგ მათ ყაჩაღობა აეკრძალათ, რაც მათი ძირითადი საქმიანობა იყო. ჩეჩნების შემთხვევაში ამას ისიც ემატება, რომ მათ კაზაკებმა წაართვეს საუკეთესო მიწები და ვერ აკონტროლებენ გროზნოს ნავთობსაც.

ნ. ტრუბეცკოის აზრით, კარგი იქნებოდა ინგუშების საერთოდ გასახლება კავკასიიდან. მაგრამ თუკი ეს შეუძლებელია, კეთილმეზობლურ ურთიერთობათა დასამყარებლად აუცილებელია სახალხო განათლების დანერგვა, სოფლის მეურნეობის დონის გაზრდა და საერთო ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართვა.

საერთოევრაზიული ნაციონალიზმის შესახებ

1927 წელს ნ. ტრუბეცკოიმ დაწერა სტატია „საერთოევრაზიული ნაციონალიზმის შესახებ“.

3.კონსტანტინე ჩხეიძე- ცივილიზაციური პრობლემების ევრაზიული ხედვა



თანამდეროვე რუსულ გეოპოლიტიკურ ლიტერატურაში, განსაკუთრებით ნეოევრაზიელები არცთუ იშვიათად ახსენებენ კონსტანტინე ჩხეიძეს (1897-1974). ქართული გვარის მატარებელი ეს ადამიანი, სინამდვილეში თავს რუსად მიიჩნევდა და ევრაზიული იდეოლოგიის მომხრე იყო. კონსტანტინე ჩხეიძესთვის საქართველო რუსეთის ნაწილი იყო და მისი ასეთი პოზიცია მისასალმებელია რუსი გეოპოლიტიკოსებისათვის და „სანიმუშოდაც“ სახავენ საქართველოსთვის

(იხ.Гулевич В.)

კონსტანტინე ჩხეიძე მამით ქართველი იყო, მის წინაპრებს ჩრდილოეთ კავკასიაში მამული უბოძა ეკატერინე II-მ. პირველი მსოფლიო ომის დროს მსახურობდა კავკასიელებისგან დაკომპლექტებულ „ველურ დივიზიაში“, სამოქალაქო ომის დროს იბრძოდა თეთრების მხარეზე ჩრდილოეთ კავკასიაში, შემდეგ ყირიმში. 1921 წელს ევაკუირებულ ნაწილებს გაჰყვა ლემნოსში. 1921-1923 წლებში ცხოვრობდა ბულგარეთში და შავ მუშად მუშაობდა. 1923 წელს გადავიდა პრაღაში, სადაც ჩააბარა რუსულ იურიდიულ ფაკულტეტზე. 1928 წელს დაამთავრა და დატოვეს სახელმწიფო სამართლის კათედრაზე. ცოტა მოგვიანებით დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია და ასწავლიდა პრაღაში რუსულ სახალხო უნივერსიტეტში თანამედროვე რუსულ ლიტერატურას.

1924 წელს კ. ჩხეიძემ პრაღაში გაიცნო ნიკოლაი სავიცკი - ევრაზიული მოძრაობის მთავარი იდეოლოგი. ჩხეიძეც ევრაზიელი გახდა და 1930-იან წლებში ამ მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერადაც იქცა. თუმცა ევრაზიელობა თანდათანობით დაცემის გზას დაადგა და ევრაზიელობის პროპაგანდასთან ერთად ჩხეიძისათვის ლიტერატურული საქმიანობა

უფრო მნიშვნელოვანი გახდა. მეორე მსოფლიო ომის წლებში კ.ჩხეიძე იმ ევრაზიელთა მხარეზე იყო, რომლებიც თვლიდნენ, რომ უნდა დაეცვათ საბჭოთა კავშირი, მიუხედავად ბოლშევიკური ხელისუფლებისა. 1945 წელს კ.ჩხეიძე საბჭოთა უშიშროებამ დააპატიმრა და 10 წელი მიესაჯა.

1955 წელს პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ პრაღაში დაბრუნდა. ევრაზიელობა მკაცრად აკრძალული იყო და ლიტერატურული საქმიანობით იყო დაკავებული. 1974 წელს, 76 წლის ასაკში, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

კ. ჩხეიძემ გეოპოლიტიკურ საკითხებზე რამდენიმე ნაშრომი დაწერა, თუ როგორ უნდა ყოფილიყო რუსეთის ძლიერი და დამოუკიდებელი დიდი სახელმწიფო („დერჟავა“). ასეთი პოზიციით აანალიზებდა იმდროინდელ მსოფლიო პოლიტიკას 1927 წელს დაწერილ გეოპოლიტიკურ ნარკვევში „ერთა ლიგა და სახელმწიფო-მატერიკები“.

ერთა ლიგის როგორც „დასავლეთის გავლენის იარაღის“ კრიტიკა

კონსტანტინე ჩხეიძე ერთა ლიგაში ხედავდა მსოფლიო პოლიტიკაზე დასავლეთის გავლენის მოხერხებულ ინსტრუმენტს. ჩხაიძე აღნიშნავდა, რომ ერთა ლიგის წევრი ქვეყნები მხოლოდ ნომინალურად იყვნენ თანასწორები და რამდენიმე ძლიერი ქვეყანა კარნახობდა დანარჩენებს „მსოფლიო წესრიგის ნორმებს“. ერთა ლიგას შეეძლო გარკვეული პირობების კარნახი არაწევრი ქვეყნებისთვისაც, განსაკუთრებით შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

კონსტანტინე ჩხეიძისათვის ერთა ლიგა „მსოფლიო მთავრობის“ ფიქცია იყო. თუმცა, მისი დახასიათებით, ეს ორგანიზაცია ძირითადად ემსახურებოდა ევროპულ ინტერესებს და თავის თავში მოიცავდა „ცოცხალ და სიცოცხლისუნარიან ემბრიონს მომავალი ევროპის შეერთებული შტატების „კოორდინაციულ-სუბორდინაციული“ მთავრობისათვის“. ჩხეიძის თქმით, პირველი მსოფლიო ომით დასუსტებული ევროპა გრძნობდა, რომ პირველობას აშშ-ს უთმობდა და ევროპას გაერთიანება აშშ-ს თანაბარი მნიშვნელობის ძალთა პოლუსად გადააქცევდა.

ამის პარალელურად მსოფლიოში მიმდინარეობდა ნაციონალურ-კულტურული დიფერენცირების პროცესები, როგორც ევროპაში, ისე აზიაში, ახლო აღმოსავლეთში და რუსეთში (კ.ჩხეიძე რუსეთს საბჭოთა კავშირს უწოდებს). ევროპაში დიფერენცირება მიმდინარეობდა ადრე დამოუკიდებელი ქვეყნების აღდგენის გზით (პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და ა.შ.), აზიაში (ინდოეთი, ინდოჩინეთი, ჩინეთი) დიფერენციაცია ხდებოდა რასობრივი და ნაწილობრივ, რელიგიური ნიშნით. რუსეთში (საბჭოთა კავშირში) გამოვლენილი დიფერენცირების ტენდენციების არსს შემდეგნაირად გადმოსცემდა: სახელმწიფო ორგანიზმის მთლიანობის შენარჩუნების პირობებში უზრუნველყოფილია მისი ნაწილების კულტურულ-თვითმყოფადი განვითარება და ავტონომიისა და ფედერაციის პრინციპების უზრუნველყოფა. ჩხეიძე აღნიშნავდა, რომ ევროპისგან განსხვავებით, აქ არ იყო გაღრმავებული სუვერენიტეტის საკითხი, ხოლო აზიისგან განსხვავებით - არ იყო გამწვავებული ეკონომიკური და რასობრივი საკითხები.

სახელმწიფო-მატერიკების ფორმირების ტენდენცია

დიფერენციაციის პროცესთან ერთად მიმდინარეობს ინტეგრაციის პროცესი. კონსტანტინე ჩხეიძე აღნიშნავდა, რომ ერების გაერთიანებას განაპირობებდა არა მარტო მატერიალური, არამედ სულიერი წანამძღვრებიც - რასობრივი ფსიქოლოგიის თავისებურებანი, საერთო კულტურული მემკვიდრეობა, სახელმწიფოებრივი მშენებლობის ისტორიული ტრადიციების მემკვიდრეობა. კ. ჩხეიძემ ეს ელემენტები აღნიშნა ცნებით „ისტორიული ბედის ერთობა“. ამ ერთობას „ადგილგანვითარებასთან“ ერთად, შედეგად მოსდევს ე.წ. სახელმწიფო-მატერიკების ანუ „მსოფლიოების“ ფორმირება.

კ.ჩხეიძის თქმით, სახელმწიფო-მატერიკების ფორმირების პროცესი დამაჯერებლად აჩვენებს თეორიულ დებულებათა სისწორეს კულტურულ-ისტორიული ტიპების შესახებ. ამ პროცესში ადგილგანვითარების და ისტორიული ბედის ერთობის შეხამება ქმნის ახალ კულტურულ-ისტორიულ ტიპებს.

კ. ჩხეიძემ გამოჰყო ხუთი ფორმირებადი „მსოფლიო“ (სახელმწიფო-მატერიკები): პანევროპული, პანამერიკული, პანისლამური, პანაზიური და პანევრაზიული. თითოეულ „მსოფლიოს“ შეესაბამება განსაკუთრებული პან-იდეა, რომელიც ასაბუთებს მოცემული „მსოფლიოს“ არსებობას სტრატეგიული, პოლიტიკური, სოციალური და სულიერი თვალსაზრისით.

პანევრაზიული „მსოფლიოს“ გეოპოლიტიკური ბირთვია რუსეთი. ჩხეიძის თქმით, რუსეთი-ევრაზია, როგორც სახელმწიფო-მატერიკი უნდა განხილულიყო ორი კუთხით. საკუთრივ რუსეთი არის ერთიანი გეოპოლიტიკური, ეთნიკური და კულტურულ-ისტორიული სისტემა. „საკუთრივ რუსეთის ერთიანი სხეულის შემადგენელი ნაწილები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან შერწყმული, მონოლითური, განუყოფელნი“. რუსეთი როგორც განსაკუთრებული მსოფლიო „იზიდავს ახლომდებარე ქვეყნებს, რომლებიც ესწრაფვიან მოექცნენ მისი მძლავრი მაინტეგრირებელი ძალის ორბიტაში. ამ აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ პანევროპული, პანაზიური და პანაზიური „მსოფლიოების“ კონკურენციაზე“.

რუსეთ-ევრაზიის „მსოფლიოს“ ტერიტორიული მოწყობა

კ. ჩხეიძე აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო-მატერიკის „მსოფლიოს“ შიგნით ურთიერთობები უნდა აეგოს „სუბორდინაციის“ პრინციპის შესაბამისად. ნაშრომში „რუსეთის გეოპოლიტიკის სფეროდან“ კ. ჩხეიძე განიხილავდა რუსეთის ეროვნული განაპირა მხარეების პრობლემას. მისი თქმით, დაბლობების უდიდესი სისტემა, რომელსაც რუსულ-ევრაზიული სამყარო ეწოდება, თითქოსდა თავად ბუნების მიერ შექმნილი „უდიდესი ასიმილაციური ქვაბია“.

კ. ჩხეიძის თქმით რუსეთის სივრცეებზე მკაფიოდ ვლინდება ორი შემხვედრი პროცესი. ერთი მხრივ, ცენტრიდან პერიფერიისკენ მიმდინარეობდა რუსიფიკაციის ნაკადი. მეორე მხრივ, პერიფერიიდან ცენტრისკენ „ოკრაინიზაციის“ პროცესი - ეროვნული კულტურების აღორძინება: თათრული, უზბეკური, სომხური, ქართული და სხვ. ასევე

ერთიანი საერთორუსეთული ევრაზიული კულტურის აღქმა ცალკეული პერიფერიული ელემენტების მიერ.

„ოკრაინიზაცია“ - ესაა ცენტრალური ხელისუფლებითი საწყისის შესუსტება შემდგომი სეპარატიზმისა და პანევრაზიული „მსოფლიოს“ არნახული სტრატეგიული დაცემის მუქარით. ხელისუფლების ამოცანაა მიმართოს პროპორციულ მიდგომას, როდესაც რუსიფიკაციასთან ერთად ნარჩუნდება ლოკალური იდენტობების ტრადიციული ფორმები. კ. ჩხეიძის აზრით, ბალანსი ფორმულით „ცენტრალიზმი-პერიფერია“ რუსეთი-მატერიკის სიძლიერის საწინდარი იყო.